ოქმი N1

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მესამე მოწვევის რიგგარეშე სხდომისა

ქ. ხობი 2016 წლის 15 იანვარი

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 36

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 36

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 28 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 28 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერ ჯობავა - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგის გაცნობამდე საკრებულოს თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს და დამსწრე საზოგადოებას მიულოცა შობა-ახალი წელი, უსურვა წარმატებები საქმიანობაში და საკრებულოს სახელით მადლობა გადაუხადა იმათ, იმ მცირეოდენი წვლილისთვისაც კი, რაც მათ შეიტანეს სახელმწიფოს აღმშენებლობის საქმეში. მცირეოდენი შესავლის შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს 2016 წლის პირველი სხდომა საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის მოსმენის შემდეგ გახსნილად გამოაცხადა.

დღის წესრიგი:

1. „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2016 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის უფროსი)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 24, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: მ. ქარდავა, ე. წურწუმია, კ. ლატარია, ლ. ლოლუა)

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვა

1. „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2016 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის უფროსი)

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2016 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: მ. ქარდავა - გამომსვლელი დაინტერესდა ხობის ცენტრალურ სტადიონზე კონკრეტულად თუ რა სახის სამუშაოები უნდა განხორციელებულიყო და გათვალისწინებული იყო თუ არა მოედნის საფარის გამოცვლა?

ვ. გაბედავა - გამომსვლელის განცხადებით სტადიონის რეაბილიტაციისთვის სულ გათვალისწინებულია 508,0 ათასი ლარი, რაც არასაკმარისია სრული რეაბილიტაციისთვის, გამომდინარე აქედან საერთო გადაწყვეტილებით სტადიონზე ხორციელდება პროექტით გათვალისწინებული სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოები, თუმცა ამაში არ შედის მოედნის საფარის გამოცვლა.

მ. ქარდავა - გამომსვლელმა განაცხადა, რომ მისი აზრით უპრიანი იქნებოდა, თანხა მოძიებულიყო და მინდვრის საფარის შეცვლა განხორციელებულიყო, რომელიც ძალზედ სავალალო მდგომარეობაშია, ხოლო სხვა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოები შემდგომ წლებშიც შეიძლებოდა, როგორც კი ამის ფინანსური შესაძლებლობა იქნებოდა.

მცირეოდენი დებატების დასრულების შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (გ. სიჭინავა) წარმოედგინა კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით

გ. სიჭინავა - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ „საქართველოს

სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონალური პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის N23 დადგენილების შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ მომზადდა წინადადებები მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2016 წლისთვის განსახორციელებელ სამუშაოებთან დაკავშირებით, რაც საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფისთვის უნდა წარედგინოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს. ამ ეტაპზე გამგეობის მხრიდან მომზადებულია შემდეგი საკითხები: ა) ზემო ქვალონის ადმინისტრაციულ ერთეულში და ქვემო ქვალონის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჭითაუშკურში წყალსადენის ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებასთან დაკავშირებით; ბ) ხობის №1 და №2 საბავშვო ბაღების რეაბილიტაციასთან დაკავშირებით; გ) კულტურულ საგანმანათლებლო და ახალგაზრდული ცენტრის შექმნასთან დაკავშირებით; დ) ქ. ხობში ქუჩების კეთილმოწყობის (მოასფალტების) სამუშაოებთან დაკავშირებით; ე) ხობის მუნიციპალიტეტის ცენტრალური სტადიონის აღდგენასთან დაკავშირებით. გამომსვლელის განცხადებით, გამგეობის მიერ წარმოდგენილი პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 26, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ე. წურწუმია, კ. ლატარია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N1 ოქმს თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდგომ იანვრის რიგგარეშე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო

მესამე მოწვევის საკრებულოს 2016 წლის 15 იანვრის სხდომაზე დამსწრე საკრებულოს

წევრთა სია

1. ედიშერ ჯობავა
2. მამუკა ქარდავა
3. გოჩა სიჭინავა
4. ტარიელ ალექსანდრია
5. დოდო გაბუნია
6. ლევან ქავთარაძე
7. თენგიზ აბაკელია
8. თემურ გულუა
9. მალხაზ ლაგვილავა
10. როსტევან გვარამია
11. ვასილ კუკავა
12. კახა ლატარია
13. ფრიდონ შონია
14. ლეონიდე ლოლუა
15. მზია ლემონჯარია
16. შადიმან ჭილაია
17. ჯემალ ნადარაია
18. მელორ გელანტია
19. გიორგი ხურცილავა
20. მალხაზ ყურუა
21. კახა მიქაბერიძე
22. ბეჟან ქირია
23. იგორ გოგოლაძე
24. გენად ქაძანაია
25. გენად ზარანდია
26. მერაბ ნადარაია
27. ქეთევან ოდიშარია
28. ედიშერ წურწუმია